



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეთრი წყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი



თეთრი წყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

თეთრი წყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაარსდა 1975 საზოგადოებრივ საწყისებზე, მუზეუმის შინაარსის მქონე პროპაგანდის სახლის (1964-75) ბაზაზე. ამჟამად არის სსიპ თეთრინწყაროს

კულტ. ცენტრის შემადგენლობაში. 1982 თ. წ. მ. მ-ის შენობა დაანგრიეს მოედნის გაფართოების მიზნით. ფონდი დროებით დაიხურა. 1989 მუზეუმს გადაეცა ახალი შენობა (ყოფილი „რაიკომის“) და დღემდე აქ არის განთავსებული. 2013 წ. 1 იანვრისთვის მუზეუმის ფართობი შეადგენდა 1115 მ² მუდმივი ექსპოზიციის – 811 მ² საცავები – 304 მ². თ. წ. მ. მ-ის არქეოლ. განყ-ბის ფონდში ინახება თეთრინწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლ. მასალა, რ-იც ასახავს პერიოდს ქვის ხანიდან ფეოდალ. ეპოქამდე, ასევე სხვადასხვა პერიოდის ეთნოგრაფიკული მასალა. თ. წ. მ. მ-ის ფოტოსურათებზე აღბეჭდილია ფეოდალ. ხანის – გუდარეხის (XII ს.), მანგლისის (V-XII სს.), სამშვილდის (V ს.), ფიტარეთის (XIII ს.) – არქიტ. ძეგლები. მუზეუმის ფონდში 10 ათასზე მეტი ექსპონატი. ფონდის შექმნასა და არქეოლ. განყ-ბის სრულყოფაში მუზეუმს დიდი დახმარება გაუწია ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმმა, საქართვე. მეცნ. აკად. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტის არქეოლ. განყოფილებამ და საქართვე. კულტ. ძეგლთა დაცვის სამმართველომ; მუზეუმში მუშაობს სამეცნ. საბჭო. თ. წ. მ. მ-ის მჭიდრო კავშირი აქვს მუნიციპალიტეტში მომუშავე არქეოლოგებთან, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, პედაგოგებთან. ტარდება

სხვადასხვა სახის სამეცნ. და თეორ. კონფერენციები ეწყობა გამოფენები.
